

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დაჯარიმების წესის არაეფექტურობა, სანქციის სახით განსაზღვრული ჯარიმების ოდენობის სიდიდე, ზოგიერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული გადამცდომის ჩამდენი პირისთვის საჯარიმო ქვითრის ჩაბარების შეუძლებლობა, საქალაქო ტრანსპორტით უბილეთო მგზავრობისას და ნებართვის გარეშე ან უნებართვოდ ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანისას სამართალდამრღვევი სუბიექტის დაჯარიმების პროცედურის სირთულე და არაეფექტურობა, აგრეთვე ფულადი სანქციის სიდიდე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია კანონის დახვეწა, 125-ე მუხლით განსაზღვრული საჯარიმო სანქციის აღსრულების პროცესის სრულყოფა, საჯარიმო ქვითრის სამართალდამრღვევისათვის ჩაბარების ღონისძიების დახვეწა, საჯარიმო სანქციის ოდენობის შემცირება;

130 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმის შემსუბუქება, 135-ე მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევის გამოვლენის, ჯარიმის და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიების დახვეწა, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 135-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების არსებობის შემთხვევაში სამართალდამრღვევი პირის მიმართ საჯარო ქვითრის გამოწერის შესაძლებლობის შექმნა და ტერმინოლოგიური კუთხით დაზუსტებების შეტანა, აგრეთვე ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) გასაჩივრებისას უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრა

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

1. 125-ე მუხლის მოქმედი შენიშვნის პირველი ნაწილი შეიცავს ხარვეზს იგი არ უზრუნველყოფს, რომ დაჯარიმებულმა პირმა, მხოლოდ ჯარიმის ქვითრის და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ მოახდინოს საავტომობილო საშუალების სპეციალური სადგომიდან გამოყვანა.

წამოღვენილი ცვლილება, ითვალისწინებს, რომ სატრანსპორტო საშუალება დაცული სადგომიდან გაყვანილი იქნება მხოლოდ ჯარიმის გადახდის ქვითრისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

2. 125² მუხლის პირველი და მე-ნაწილები ცალბედა ახალი რედაქციით და განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების დაცულ სადგომზე გადაყვანის კონკრეტული მიზეზები და გარემოებები, კერძოდ პირველი ნაწილით

გათვალისწინებულ შემთხვევაში დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას 12 საათზე მეტი დროით დგომისას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სატრანსპორტო საშუალებას გადაიყვანს სპეციალურ დაცულ სადგომზე, ხოლო პარკირების სხვა წესების დარღვევისას სატრანსპორტო საშუალების გადაყვანა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი შეაფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას შეუქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას.

3. 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ცვლილებით მცირდება ჯარიმა და მისი ოდენობა განისაზღვრება 10 ლარით.

4. წამოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს 135-მუხლის შენიშვნაში იმ სუბიექტის აღინიშნას, რომელიც იქნება უფლებამოსილი გამოავლინოს ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია აღარ იქნება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ერთადერთი ღონისძიება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში სამართალდამრღვევი არ წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს და კანონში ნორმის არსებული ჩანაწერის აღსრულება ფაქტიურად შეუძლებელი ხდება.

5. 209³ და 242-ე მუხლში დამატებებიდან გამომდინარე შესაძლებელი ხდება უბილეთო მგზავრობისას და ნებართვის გარეშე ან უნებართვოდ ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე ფაქტობრივი განხილვა, შესაბამისად, სამართალდამრღვევს ადგილზევე დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი;

6. 209³ მუხლს ემატება მე-4 ნაწილი, რომლითაც განისაზღვრება ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) გასაჩივრებისას საჩივრის განმხილველი და გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანო.

7. 243-ე მუხლის მე-2¹ ნაწილში ცვლილების განხორციელებით დედაქალაქის ტერიტორიაზე, პარკირების წესების დარღვევისასთვის აღარ მოხდება, დამრღვევი პირის ვინაობის დაუდგენელობის შემთხვევაში, მისი პოლიციაში წაყვანა. პარკირების დარღვევისას სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული დაჯარიმების მექანიზმიდან გამომდინარე (დამრღვევის არ არსებობის შემთხვევაში ჯარიმდება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე) აღნიშნული პროცედურა ზედმეტია.

8. 290-ე მუხლში დამატებების განხორციელებით განისაზღვრება ჯარიმის ქვითრის ჩაბარების წესი და დამატებითი პირობები.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონის პროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის ამოქმედების შედეგად ბიუჯეტში .

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება იმოქმედებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან მცირდება სანქციის სახეები და ოდენობა.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ აღგენს მისი განსაზღვრის წესს.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები,

რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის

შემთხვევაში

კანონის პროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისთვის.

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორებია საქართველოს პარლამენტის წევრები გიორგი მელაძე და ლაშა თორდია

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორებია საქართველოს პარლამენტის წევრები გიორგი მელაძე და ლაშა თორდია